ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#2

23 თებერვალი 2022 წელი

ქ.ბაღდათი 13.30 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: მურად ბურჯანაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გურამ ჩხეიძე
გურამი კიკნაველიძე
მაია კბილაშვილი
გვანცა გრძელიძე
ნოდარ გიორგიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი: ანტონ ქარაბაკი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის წარმომადგენელი: უჩა გელხვიიძე

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - რამაზ მეფარიშვილი

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს. ლერი გუმბერიძე

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“.

მომხს. ანტონ ქარაბაკი

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ მურად ბურჯანაძემ წარმოადგინა საკითხი: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გურამი კიკნაველიძემ კითხვით მიმართა ლერი გუმბერიძეს საოჯახო მარნებისათვის გზის საფარის მოსაწყობად თანხები სრულად მოგვცეს რაც იყო მოთხოვნილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ უპასუხა ლერი გუმბერიძეს, რომ საოჯახო მარნებისათვის გზის საფარის მოსაწყობად თანხები რაც იყო მოთხოვნილი არის სრულად

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მიიღოს კომისიამ

წარმოდგენილი საკითხი და გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მიიღო კომისიამ წარმოდგენილი საკითხი და გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია
მომხრე:6 **წინააღმდეგი:0**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2. კომისიის თავმჯდომარემ მურად ბურჯანაძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი: ანტონ ქარაბაკმა

კომისიის წევრი: მაია კბილაშვილმა განაცხადა, რომ წინასწარ თუ შეიძლება მოხდეს გათვალისწინება და ბაზრის შესწავლა გასაგებია პანდემიის პირობები და ფასების ცვლილებები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი: ანტონ ქარაბაკმა განაცხადა, რომ ფასებიდან გამომდინარე ტენდერზე შემოსვლა უჭირთ ბაზრის კვლევები ჩატარებულია, არსებული კანონის სრული დაცვის ქვეშ ვანხორციელებთ შესყიდვებს

კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძემ განაცხადა, რომ საკითხი ჩამოსულია მოვითხოვეთ რამოდენიმე დოკუმენტი, იყო სხვადასხვა საკითხების განხილვა და მუშაობა მიმდინარეობს შესყიდევბის გეგმის მიხედვით

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“. მიიღოს კომისიამ წარმოდგენილი საკითხი და გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“. მიიღო კომისიამ წარმოდგენილი საკითხი და გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია
მომხრე:6 **წინააღმდეგი:0**

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძე